N006/22 **10.10.2022წ**

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „მემული ჰესი“ გეგმავს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ ტიტას მიმდებარედ, მდ. ცხვანდირზე 11.01 მგვტ დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგური „მემული ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

მოცემული პროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 22-ე პუნქტის (5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია) თანახმად ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე, შპს „მემული ჰესმა'' მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხვანდირზე 11.01 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მემული ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD;

პატივისცემით,

შპს „მემული ჰესი“-ს დირექტორი

კონსტანტინე მჭედლიშვილი